ფაცაცა

რიფეების ფრონტზე.

ფცარი

რევოლუს-ის საქ. ცენტრკომიტეტის.

№ 12

ტფილისი

ნოემბერი-დეკემბერი
1925 წ.

შინაარსი

1. რემედას-ის კონფერენციები — ზ. ჩახვაძე.
2. რევოლიუციონური მოძრაობა შუა-აზიაში — ა. ჯიჯგაძე.
3. რემედას-ის მორიგი ამოცანები საქართველოში — პ. ქ—ძე.
4. 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი — ვ. წულეისკირი.
5. სადღეისო საკითხი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. მუშათა სიმღერა (ლექსი) — ს. ურუშაძე.
2. 1825 წლის დეკემბრის აჯანყება — პ. ქ—ძე.
3. დეკემბრის აჯანყებულებს (ლექსი) ა. ს. პუშკინი, თარგმ. — პ. სამსონიძესი.
4. პასუხი ა. ს. პუშკინს (ლექსი) ა. ოდოევსკისა, თარგმ. — პ. აბრამიასი.
5. მარში მიძღვნილი მაქს ხელცისადმი (ლექსი) ერიხ მიუზამ, თარგმ. — პ. ს.
6. შიმშილი (ლეესი) — ერიხ მიუზამ.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში

1. პოლონეთი
2. მაქს გოლდშეტეანი
3. ჰუნგრეთი — გარდინ.
4. მაქს ხელცთან შეხვედრა — ერიხ მიუზამ.
5. თეთრი ტეროორი პოლონეთში

რემედას-ი საქართველოში

1. რემედას-ი ციფრებში 1926 წ. 1 იანვრისათვის
2. რემედას-ის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა
3. დავაარსეთ რემედას-ის უჯრედი — გუშგი.
4. რაშია საქმე?
5. ცირკულიარი.

363 (Ქ) (05)
Ჰ 43.

პროლეტარიტო ყველა ძალაᲗ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡᲐ, შეერთდით!

რემედას

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬ. ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:
ერთი თვით—20 კაპ.
ორი „ 35 „
სამი „ 50 „
ექვსი „ 1 მ.ნ.
ერთი წლით 2 „

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ქ., № 5 II-ᲠᲔ ᲡᲐᲠᲗ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 4—87.

№ 12 რემედას-ის საქართვ. ცენტრ. კომიტ. ყოველთვიური ორგანო. ნოემბერი-დეკემბერი 1925

634.

რემედას-ის კონფერენციები

ჩენი ორგანიზაციის ადგილობრივი ორგანოები უკვე ემზადებიან მორიგ კონფერენციების ჩასატარებლად.

რემედას-ის სამაზრო და სათემო კონფერენციები კარგა ხანია, რაც არ მოწვეულა. კონფერენციები უნდა ჩატარებულიყო მიმდინარე წლის მაისში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს შეუძლებელი შეიქნა.

კონფერენციები, რომლებიც უნდა ჩატარდეს 1—2 თვის განმავლობაში, დროულიცაა და აუცილებელიც. ამ კონფერენციების ჩატარება აუცილებელია იმიტომ, რომ უკვე მთელი წელია, რაც სწარმოებს მუშაობა ადგილებზე და არ გაგვიკეთებია ჯამი მუშაობისათვის, არ აღგვინუსხავს უარყოფითი და დადებითი მხარეები განვლილ საქმიანობაში.

რემედას-ის მორიგი კონფერენციები მიზნად ისახავს უაღრესად პრაქტიკულ ამოცანებს. კონფერენციებმა უნდა გამოიმუშაონ ადგილობრივ პირობებიან შეფარდებული მუშაობის ხაზი, გამოაცოცხლოს სოფლებისა და თემის ორგანიზაციები, გამოიწვიოს ინტერესი მუშაობისადმი უჯრედების მხრივ.

დღემდე ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის სუსტ მხარეს წარმოადგენდა გლეხურ მასსის ნაკლებად ჩაბმა რემედას-ში. გლეხობა ორგანიზაციაში არ ღებულობს ისეთ მონაწილეობას, როგორიც ეს არის საჭირო და სასურველი. რასაკვირველია, ზოგიერთ მაზრაზე ასე არ ითქმას, მაგრამ საერთოდ კი ეს ნაკლი უნდა აღინიშნოს და გამოსწორდეს. კონფერენციებმა სწორედ მუშაობის ამ მხარეს უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება და გლეხობის ფართოდ ჩაბმა რემედას-ში პრაქტიკულ ამოცანად უნდა დაისახოს.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ **რიცხვობრივი** ზრდა მიზანშეუწონელია და მიუღებელიც, თუ არ აქვს ადგილი **თვისობრივ** ზრდას. გლეხი, რომელიც შემოდის ორგანიზაციაში, უნდა იწრთვნებოდეს პოლიტიკურად, ვითარდებოდეს გონებრივად. რემედას-ის წევრებმა კარგად უნდა იცოდენ რა არის რემედას-ი, რას ნიშნავს რემედას-ის წევრობა, რა მნიშვნელობა აქვს რემედას-ს. თუ წევრმა ყოველივე ეს არ იცის, ან ძლიერ ცუდად იცის, იგი წევრი არაა, არ იქნება რემედას-ის მიზნების და დამცველი. ამას ხაზი უნდა გაესვას ადგილობრივ მუშაობის დროს. სჯობია ორგანიზაციაში ითვლებოდეს ათი შეგნებული წევრი, ვინემ ასი შეუგნებელი. ჩვენ უნდა ვეცადოთ რემედას-ის რიგების, როგორც რიცხობრივ, ისე თვისობრივ ზრდას. ეს იქნება საკითხის ნამდვილად გადაჭრა.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: უნდა მოისპოს რემედას-ში **კოლექტიურად** ჩაწერა გლეხობის და მუშა-მოსამსახურეების. რემედას-ის წევრობა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურ საფუძველზე. წევრთა კოლექტიურ მიღებაზე ხელი უნდა ავიღოთ ერთხელ და სამუდამოთ. ასეთი წესის მტკიცედ გატარება ხელს შეუწყობს რემედას-ის თვისობრივ ზრდა-განვითარებას.

სუსტად სწარმოებს მუშაობა გლეხ ქალთა შორის. მშრომელი გლეხი ქალები თითქმის უმნიშვნელო მონაწილეობას ღებულობენ რემედას-ში. საჭიროა ამ მდგომარეობას ანგარიში გაეწიოს, საჭიროა მტკიცე კურსი იქნეს აღებული მშრომელ ქალთა ჩასაბმელად რემედას-ის ორგანიზაციებში.

საერთოდ, ადგილობრივი მუშაობის დეფექტები უნდა იქნეს შესწავლილი, განხილული და გამოსწორებული. კონფერენციები უმთავრესად ამ მიზნით იწვევა, ამ მიზანსვე უნდა ემსახურებოდეს მომავალი მუშაობაც.

ზ. ჩახვაძე

რევოლიუციონური მოძრაობა შუა აზიაში

ის მოძრაობა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში სწარმოებს, იპყრობს მსოფლიოს მშრომელთა ყურადღებას.

ბ-ნი ჩემბერლინი და ძმანი მისი დორბლებს ყრიან ჩინეთის მოძრაობის მოგონებაზე და არ ზოგავენ არავითარ ძალას, სისხლის მორევში ჩაახრჩონ ხალხური მოძრაობა. ერთად ერთი ევროპიული სახელმწიფო, რომელიც არ გამოდის აღმოსავლეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის სულთამხუთავის როლში, სოც. საბჭოთა კავშირია, რომელმაც თავის წითელი სისხლით შეღებულ დროშას წააწერა: თავისუფლება აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებს და გაძლიერება აღმოსავლეთ-დასავლეთ მშრომელთა ძმური კავშირის.

საბჭოთა კავშირი არ ერევა სხვის შინაურ საქმეებში და არც იწვევს ხელოვნურად აღმოსავლეთის ხალხთა აჯანყებებს, მაგრამ თუ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკის გამო აღმოსავლეთის ხალხები აღფრთოვანებით იხსენიებენ საბჭ. კავშირის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, ამაში რა დანაშაული მიგვიძღვის ჩენ.

თავისი საღი პოლიტიკა ჩვენმა საკავშირო მთავრობამ გამოიჩინა შუა აზიის ხალხთა მიმართ, რომელიც დააყენა კულტურულ აყვავების გზაზე. ყოფილ თურქესტანის მხარეში ოქტომბრის რევოლიუციის შუქმა შემოანათა 1918 წელს, როდესაც დაეცა თეთრგვარდიელ გენერალ კოროკიჩენკოს დიქტატურა. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ და მისმა საღმა პოლიტიკამ წინ წასწია ბუხარის და ხივის პოლიტიკური ცხოვრება ე. წ. მლადო-ბუხარლები ამხ. ფაიზულა ხოჯაევის მეთაურობით, (რომელიც ეხლა უზბეკისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე არის) წაქეზებულნი თურქესტანის მაგალითით ამხედრებენ ხალხს ბუხარიის ემირის ბატონობის წინააღმდეგ და 1920 წელს სახალხო რევოლიუციას უდგებიან სათავეში. ბუხარის ემირის ბედი ეწვია სულ მალე ხივის ხანსაც.

ბუხარის ემირი თავის ამალით შეეხიზნა ავღანისტანს და ხშირ თავდასხმებს აწყობდა საბჭოთა ბუხარაზე. ბუხარის სახალხო რესპუბლიკის სათავეში მოექცნენ ემირის ფარული აგენტები და 1921 წელს მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება. ფხიზელმა წითელმა არმიამ ძირშივე ჩაკლა ეს კონტრრევოლიუციონური ცდა და საბჭოთა ბუხარა ისევ ფეხზე წამოაყენა, მაგრამ ამ წლიდან დაწყებული კონტრ-რევოლიუცია პარტიზანულ ბრძოლას იწყებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბუხარის ემირი ავღანისტანის საზღვრებიდან ხშირად აგზავნიდა შეიარაღებულ რაზმებს და თავს ესხმოდა რევოლიუციონუ წესრიგის დამცველ წითელ არმიას. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. კონტრრევოლიუციამ დაიბუდა აღმოსავლეთ ბუხარაში, განსაკუთრებით კი თაჯიკისტანში. ბასმაჩების თარეშმა (ბასმაჩებს ეძახიან ამ კონტრრევოლიუციონურ ბრძოლაში მონაწილეთ) განადგურებამდის მიიყვანა მოსავლიანი ფერგანის ოლქი. კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ენერგიულმა ბრძოლამ 1924 წლის მეორე ნახევარში საბოლოოთ დასცა ის. თვით ბასმაჩებში დაიწყო რღვევა და დიდი ნაწილი დარწმუნდენ რა თავიანთ მოქმედების სიყალბეში, გადმოვიდენ მშრომელი ხალხის მხარეზე.

შუა აზიის ხალხთა სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას დიდის ყურადღებით მოეპყრა კომუნისტური პარტია და აღიარა შუა აზიის ხალხთა სახელმწიფოებრივ გამიჯვნის აუცილებლობა. 1924 წლის მიწურულში უზარმაზარ ტერიტორიაზე დაფანტული ხალხები გაერთიანდნენ ორ დიდ რესპუბლიკაში: უზბეკისტანისაში და თურქმენისტანისაში, მათში შ მავალ ავტონომიურ ერთეულებით, სახელმწიფოებრივად გაერთიანდნენ: უზბეკები, თურქმენები, კირაკირგიზები, კირგიზები, თაჯიკები, და კარა-კალპაკები. ოქტომბრის რევოლიუციამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ამ ხალხთა სახელმწიფოებს. ეს დიდი მიღწევა არის აღმოსავლეთ ხალხთა განთავისუფლების საქმეში. შუა-აზიის რევოლიუციონური მასა აღტაცებით შეეგება ამ გამიჯვნას და აქტიურად ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში რაკი ხალხი დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილ სახალხო ინტერესებს იცავდა, ის აქტიურად დაირაზმა ბასმაჩების წინააღმდეგ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გამიჯვნის ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა თვით ბასმაჩების მეთაურებზე და ამ მეთაურებს შორის მეთაურმა ჯუნაიდ-ხანმა მონანიების თხოვნით მიმართა თურქმენისტანის საბჭოთა დამფუძნებელ ყრილობას, რაც შეწყნარებულ იქნა. ამ მოუსვენარ ბელადის შერიგების შემდეგ თანდათან შესუსტდა ბასმაჩების რიგები და ბუხარის ემირს დამცველის როლში შერჩა მხოლოდ ყაჩაღები, რომლებიც დარბევა-დანგრევის მეტს არაფერს აკეთებდენ.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ბასმაჩების უკანასკნელ საგმირო მოქმედებიდან. თურქმენისტ ნის რესპუბლიკის დიდი ნაწილი უკავია კარა-კუმების სილიან უდაბნოს, რომელიც რამოდენიმე მილიონ დესეტინაზედ არის გაჭიმული. ძველად ეს ადგილი ყვავილოვანი ველი იყო და შუაზე მდ. ამუდარია გადიოდა, რომელმაც შემდეგ მიმართულება შესცვალა. საბჭ. სოციალისტურმა საკავშირო მთავრობამ

ამ ძველ კალაპოტის ამოსაწმენდათ და ამ უდაბნოში ამუდარიის გამოსაყვანათ და ამ უდაბნოს სათესველად გადასაქცევათ გადასდვა 4 მილიონი მანეთი. მუშაობა გაცხარებით მიმდინარეობდა. ამ დროს მომუშავეებს თავს დაესხენ ბასმაჩები და მოჰკლეს ორი ხელმძღვანელი ინჟენერი. ბასმაჩებს რომ ჰკითხოთ, ისინი ხალხის ინტერესებისათვის იბრძვიან. ნამდვილად კი საფუძველს უთხრიან ამ დიად საქმეს, რომელიც მოიპოვეს შუა-აზიის ხალხებმა თავიანთ რევოლიუციონურ ბრძოლაში სახელმწიფოებრივ ერთეულებში შეკავშირების სახით.

ამჟამათ შუა აზიის რესპუბლიკებში სამოქალაქო მშვიდობიანობა სუფევს. მშრომელი ხალხი იმკის რევოლიუციონურ ბრძოლებში ნათესს და თავის ცხოვრებით აქეზებს მეზობელ ხალხებს რევოლიციისკენ.

თურქმენისტანის რესპუბლიკა მდებარეობს ავღანისტანის საზღვარზე, თაჯიკეთის რესპუბლიკა კი სპარსეთ-ინდოეთის საზღვართან. ამ რესპუბლიკებში წარმოებულ ხალხის თვითმომქმედ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას აღტაცებაში მოჰყავთ საზღვარს იქეთ მცხოვრები მოძმე ერები. საზღვარს იქეთ და აქეთ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური მდგომარეობაა მაშინ, როდესაც საზღვარს აქეთ თურქმენისტანის და თაჯიკისტანის მშრომელებს თავისუფლათ შეუძლიან შეკრება და სახელმწიფო საქმეებზე ბჭობა, საზღვრის იქეთა მხარეს თავისუფალი აზრი დაშხულია. ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა პამირის მთების მიდამოებშიაც. ამნაირად ინდოეთის საზღვარზე გაიშალა მშრომელი მასის შემოქმედებითი მუშაობა. იმ თავისუფლების, რომლითაც სარგებლობს საზღვარს აქეთ მცხოვრები მუსულმანები, განცვიფრებაში მოჰყავს საზღვარს გაღმა მისაბლე მონათესავე ერები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოძმეთა მიერ წაქეზებულნი, საზღვარს იქეთ მცხოვრებნი გადმოდიან საბჭ. რესპუბლიკებში და ასე იწყებენ მშვიდობიან ცხოვრებას. ამ გადმოსვლამ მასიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო იმათ დაბრუნებამ, ვინც სამოქალაქო ომის დროს, ან უწინ გადასხლებულა ავღანისტან-სპარსეთში.

რასაკვირველია, საქმის ასეთი მდგომარეობა არ მოეწონება ინგლისს ბურჟუაზიას და ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბრალი დასდოს პროპაგანდაში საბჭ. ხელისუფლებას. როდესაც შორიდან უყურებ, მართლა გგონია, რომ საბჭ. მთავრობა განგებ ა არმოებს ამ წამქეზებელ პოლიტიკას. მაგრამ ვინც ახლო გაეცნობა იქაურ მდგომარეობას, აშკარად დარწმუნდება, რომ წაქეზებას აქვს არა ხელოვნური, არამედ ბუნებრივი ხასიათი. ის წითელ არმიელები, წითელ ფარაჯაში გახვეული გლეხები, რომლებიც აღმოსავლეთის სადარაჯოზედ სდგას, ადგილობრივი ენა ზედმიწევნით შეუსწავლიათ და ეაუღალავ კულტურულ მუშაობას ეწევიან, აი ძალა, რომელიც მოელინებია ამ ხალხებს არა ინგლისის ჯარის სახით, რამედ მონობისაგან განმანთავისუფლ ბელის როლში. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ოქტომბრის მიერ ეროვნულ საკითხის საღად გადაჭრამ შუა აზიაში შექმნა ისეთი რესპუბლიკები, რომლებიც სამაგალითოდ გამხდარან აღმოსავლეთის სხვა ხალხებისათვის.

რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში იზრდება და ეს ზრდა თავზარს სცემს ევროპის იმპერიალიზმს.

ა. ჯ ი ჯ ა ძ ე

რემედას-ის მორიგი ამოცანები საქართველოში

კომუნისტური მოძრაობა, მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობათა გაღრმავება, მათი შეკავშირება გახდა არა მარტო რუსული მოვლენა, როგორც სწერდენ და სწერენ ბურჟუაზიური გაზეთები, არამედ ეს მოვლენა საერთაშორისო ხასიათს ატარებს

ინგლისის „დემოკრატია“ ყველაზე უფრო ხმამაღლა გაჰკიოდა, რომ ინგლისში კომუნისტურ მოძრაობას ადგილი არ ექნებაო. მაშ რით აიხსნება რევოლიუციონურად განწყობილ მუშებისა და გლეხების ასეთი სასტიკი დევნა?

ლენინი ამბობდა:

„ძლიერდება საერთაშორისო რეაქცია იმიტომ, რომ დღითი-დღე ძლიერდება საერთაშორისო რევოლიუციაო“.

საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის გამწვანევება და ამ ბრძოლაში მწარის დაჭერა, ზურგის გაშაგრება,—ეს არის ჩვენი პროლეტარიატის ამოცანა. დასავლეთის სასხლიანი ბურჟუაზია და მისი მწარის დამამშვენებელი—თეთრი ტერორი ყოველდღე ასობითა და ათასობით მიერეკება რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებს ციხეებისაკენ.

რემედას-ს მართებს უდიდესი მუშაობის წარმოება. რემედას-ის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება აუცილებელი პირობაა საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის წითელი ზურგის გამაგრებისათვის. ეს უნდა შეიგნონ რემედას-ის წევრებმა.

საქართველოში რემედას-ის ამოცანად უნდა

ჩაითვალოს შემდეგი: აქტივის შექმნა ორგანიზაციებში, რომელიც აუცილებელი პირობაა დადებითი მუშაობის წარმოებისათვის. ზოგიერთ ჩვენს მაზრებში სრულიად არ არის რემედას-ის აქტივი. მაზრის ზოგიერთ პარტიულ კომიტეტებს ავიწყდებათ კომ. პარტ. ცენტრ. კომიტ. ცირკულარი. პარტია წინადადებას აძლევდა ყველა პარტკომებს, **რათა რემედას-ის ორგანიზაციებს მუშაობისათვის გაეწიათ ჯეროვანი დახმარება.**

დღეს მაზრებში, ასე თუ ისე, მიმდინარეობს რემედას-ის მუშაობა, მაგრამ აქტივის შექმნა მაინც ვერ მოხერხდა.

რემედას-ის აქტივს ევალება ხელი შეუწყოს წევრთა რევოლიუციონურად აღზრდას. რემედას-ის წევრთა უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს რემედას-ის დიად მიზნებზე და ამოცანებზე. ეს ნაკლი ერთხელ და სამუდამოთ გამოსწორებულ უნდა იქნეს. **ჩვენ არ უნდა მივსდიოთ წევრთა რიცხობრივ ზრდას, არამედ უნდა განვამტკიცოთ, ის რაც დღეს არიცხება.** რემედას-ის წევრთა შორის უნდა ვაწარმოოთ რევოლიუციონური აღზრდა. ჩვენს ამოცანად უნდა ჩაითვალოს, რემედას-ის აქტივის შექმნა და წევრთა შორის აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება.

საჭიროა ამ საკითხს ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ჩვენ უნდა შევძლოთ მისი ცხოვრებაში გატარება ადგილობრივი პარტიულ ორგანოების დახმარებით

აქტივის კადრის შექმნა უნდა მოხდეს უპარტიო მასსებში. ჩვენ გამოცდილებიდან ვიცით, რომ მრავალ უპარტიოს სურს ასეთ ორგანიზაციებში მუშაობა. უპარტიო მასსა თვალსაჩინო მუშაკებს მოგვცემს. რემედას-ის მუშაობის გაცხოველების საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ უპარტიო მუშები და გლეხები.

ჩვენ უნდა ვეცადოთ რემედას-ის რიგებში ჩავაბათ, რაც შეიძლება მეტი უპარტიო მუშები და გლეხები. ჩვენ ამით შევძლებთ რემედას-ის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პ. ქ — ძე

1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავი

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მშრომელმა მასსებმა ხმა აღიმაღლეს დესპოტიურ ცარიზმის წინააღმდეგ და ააფრიალეს თავისუფლების წითელი დროშა.

ჯერ ერთი თვით მეფის სისხლიან პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის და გლეხობის დაჩაგვრა—დამონებისაკენ და მეორე იაპონიასთან უაზრო ომის წარმოებით, რომელიც დასრულდა ვებერთელა რუსეთის სამარცხვინო დამარცხებით. აივსო მოთმინების ფიალა ფართო—მასსების, რამაც ააღებია იარაღი ხელში ამ უკანასკნელთ თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ.

უზარმაზარი რუსეთის ქალაქები და სოფლები გადაიქცა ერთ რაღაც ზღაპრულ ჭიაკოკონად, რომელსაც უშიშრად უმატებდენ ცეცხლს გაბედული რევოლიუციონერები და ლამობდენ დაეწვათ შიგ ყველა სისხლის მსმელი ჯალათები და მაჯლაჯუნები დაწყებული მემამულიდან გათავებული თვით მეფემდის.

უთანასწორო იყო ბრძოლა:

ერთ მხარეზე იდგა მემამულეები და მეფე ურიცხვ შეიარაღებული ჯარით და ჟანდარმებით, მეორე მხარეზე კი, თუმც ყველა მშრომელი მაგრამ არა საკმაოდ შეიარაღებული და შესაფერისად შეკავშირებული. მიუხედავათ ამისა რევოლიუციონერთა თავ-განწირულებას არ ქონდა საზღვარი და ბრძოლებს—ბრძოლებზე უმართავდნენ თავის მჩაგვრელებს.

პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მუშები გმირულად იბრძოდნენ ბარიკადებზედ და არ შურავდენ თავიანთ სიცოცხლეს, თავისუფლების მოსაპოებლად.

გლეხობა სოფლებში არჩევდა მემამულეების სახლ-კარს და ერეკებოდნენ მათ სოფლებიდან.

ასეთი სურათი იყო მთელ ვებერთელა რუსეთის სივრცეზე.

ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო ოდნავადაც არ ჩამორჩენია უკან რუსეთის დიდ მოძრაობას და ისიც, როგორც ერთი კაცი, ისე აღსდგა მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქალაქებში მუშები, სოფლებში გლეხები ხელიხელ ჩაკიდებულნი უტევდენ მასზე უძლიერეს მტერს და ცდილობდენ ერთი დარტყმით ძირს დაემხო ტახტი მათი ბატონობისა.

შეშინდა სისხლიანი იმპერატორი, შედრკა, მისი ჟანდარმერია და აი, მანაც გადაწყვიტა ხერხისათვის მიემართა იქ, სადაც უხეშ ძალას არ შეეძლო თავისი გაეტანა.

1905 წ. 17 ოქტომბერს მეფემ გამოცა მანიფესტი რომლითაც პირდებოდა ხალხს სახელმწიფო-სათათბიროს მოწვევას, სიტყვისა და კრებების თავისუფლებას.

მეფის მიერ გადმოგდებულ ანკესზე წა-

მოეგო ბურჟუაზიული პარტიები (ლიბერალები, კადეტები) და მათაც შეწყვიტეს მის წინააღმდეგ ბრძოლა. პირიქით ისინი ეხლა თვით აღმოუდგენ მეფეს გვერდში და მასთან ერთად იწყეს გალაშქრება მშრომელთა მასსების წინააღმდეგ, რომლებიც წინანდებურად განაგრძობდენ ბრძოლას.

1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან.

ამით სარგებლობს ოდესღაც შეშინებული და შემდრკალი მეფე და ისიც ახალ ძალით და იერიშებით ესხმის თავს რევოლიუციას.

პეტერბურგის და მოსკოვის მუშათა აჯანყების დამარცხებით გადაწყდა თითქმის 1905 წლის რევოლიუციის ბედი.

ცენტრში გამარჯვებული ხელისუფლება, ეხლა უფრო მეტი სიმკაცრით შეუდგა აჯანყებულ ქვეყნების დასჯა-განადგურებას.

ყველას ახსოვს ჩვენში მოთარაშე ავარსკი ალიხანოვები, გრიაზნოვები და სხვ.

ეს გათავხედებული მეფის გენერლები შეესიენ, როგორც ამაერ-კავკასიის ისე საქართველოს სოფლებს და ქალაქებს და წვავდენ არბევდენ ანადგურებდენ მათ.

ბევრი მსხვერპლი შეიწირა ამ ჯალათების თარეშმა ჩვენში.

ბევრი გმირი, ბევრი რევოლიუციონერი დაეცა მსხვერპლად უსწორო ბრძოლებში.

დამარცხდა რევოლიუცია.

გაიმარჯვა სისხლიანმა მეფემ, მაგრამ ის არ დაკმაყოფილდა მარტო ამ გამარჯვებით და საშინელი შურის ძიების მიზნით შეუდგა, ჯავრის ამოყრას ყველა იმათზე, ვინც კი ებრძოდა მას სიტყვით თუ იარაღით.

ამუშავდენ საველე სასამართლოები.

ასობით და ათასობით გაყავდათ რევოლიუციონერები სახრჩობელებზე.

ათასობით და ათი ათასობით ერეკებოდენ მათ ციმბირისაკენ, ციხეებისაკენ, კატორღებისაკენ.

თავგასულ რეაქციის თარეშს არ ქონდა საზღვარი, არ ქონდა დასასრული.

მაგრამ რუსეთის მშრომელი მასსები მაინც ვერ გასწყვიტა მთლად წელში ამ რეაქციამ.

ისინი იჩევ საკუთად ისე სიყვარულით ინახავდენ გულში ცეცხლს შურისძიებისას, ცეცხლს რევოლიუციისას.

და მართლაც არ გაუვლია სულ 12 წელს 1905 წლის რევოლიუციიდან, რომ ისევ აღელდა, ისე აგორდა ტალღა ყოვლად შემძლე რევოლიუციისა.

1917 წელს ჯერ თებერვალში და შემდეგ ოქტომბერში ერთხელ და სამუდამოდ დაემხო ტახტი, როგორც სისხლიან მეფისა, ისე მის ივან-ჩავან ბურჟუაზიისა და მშრომელ ხალხის ყველა გამყიდველებისა.

დღეს 8 წელზე მეტია, რაც რუსეთის მშრომელი მასსა თვით პატრონობს თავის თავს და აშენებს ახალ ქვეყანას, ახალ სამეფოს შრომისას და თავისუფლებისას.

დღეს კი 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავზე საბჭოთა კავშირი და ყველა მშრომელი, ყველა პატიოსანი მოქალაქე სიყვარულით იხსენებს ამ პირველ მერცხალს ქარშხალისას და მოწიწებით

1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან.

იხდის ქუდს მისთვის დახოცილ გმირთა პატივსაცემლად!

გაუმარჯოს მათ ხსოვნას.

გაუმარჯოს ამ პირველ გმირთა დაწყებულ საქმეს, რომელსაც დღეს კეთილად აგვირგვინებს საბჭოთა კავშირის მრავალ ბრძოლებში გამომბრძნედილი პროლეტარიატი.

ვ. წულეისკირი

საღღეისო საკითხი

დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა და გლეხთა მრავალი ბელადებია საპროობილეებში გამოწყვდეული. ვერ ნახავთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც პოლიტიკური პატიმრებით არ იყოს ცხენგავსებული. ვინ არიან ეს პოლიტიკური პატიმრები? მაოლოდ და მაოლოდ კომუნისტები, დანარჩენ პატიმრების წარმომადგენლებს საპროობილეებში იშვიათ ნახავთ. მაგ. გერმანიაში კაპის აჯანყების, აქტიური წევრები და მონაწილეები სრულიად თავისუფალნი არიან. იმავე გერმანიაში კაპპის ერთ-ერთმა გენერალმა ლიუტვიცმა აჯანყების შემდეგ მთავრობას პენსია მოსთხოვა, რომელიც კიდ ვაც მიიღო. საერთოდ კაპპის აჯანყების გმირები დღესაც თავიანთ თანამდებობებს შერჩენ. ცნობილი მეთაური ფაშისტური აჯანყებისა კაპიტანი **ერგარტი** აჯანყების შემდეგ რჩება თავის ადგილზე, კუთვნილი პენსიის შენახვით, ხელისუფლება ვერ ბედავს მის დაპატიმრებას. ხოლო იმ დროს, როცა ბერლინის მთავრობამ გასცა განკარგულება მასი და პატიმრების შესახებ, ერგარდტი კიდევ თავისუფალი რჩება და თავისი ჯარის დარჩენილი ჯგუფების ბედ-ილბლის შესახებ, მოლაპარაკებას აწარმოებს ბავარიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ ეპყრობა ბურჟუაზიული ხელისუფლება პროლეტარიატის ბელადებს?

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის მოღვაწეები გარდა იმ მეთაურებისა, რომლებიც დახვრეტილ იქნენ—ყველა ციხე-კატორღებშია გამომწყვდეულნი დღე აც. ამასთან ერთად დაპატიმრებულია აუარებელი მუშები და გლეხები, რომლებიც შენიშნული არიან სხვადასხვა აჯანყებების მონაწილეობაში, რომელსაც აწყობდა მოთმინება დაკარგული პროლეტარიატი.

ეს კიდევ ცოტაა... ყოველ დღე გვაუწყებენ მუშათა და გლეხთა ბელადების ახალ-ახალ დაპატიმრებების შესახებ...

ეს იმ დროს როცა ათასი კონტრ-რევოლიუციონერი და რეაქციის შავი მოციქულები დადიან და ცხოვრობენ თავისუფლად... ასეთი სურათია ყველგან.

რუმინეთში, ბულგარეთში, იტალიაში და სხვაგან სადაც ანეთავე მეთოდით ებრძვიან მუშათა მოძრაობას.

ისინი არ ერიდებიან არავითარ საშვალებას ბრძოლის დროს: ინდივიდუალური ტეროორი, პროვოკაცია, პოლიტიკური ინსცენიროვკ ბი და სხვა ყველაფერი ეს მათი მოგონილი ხერხები რევოლიუციონერთა გასანადგურებლად.

ამ ბრძოლაში, პროლეტარიატი, როგორც ყოველთვის განმარტოებით სდგას ..

ის უცდის თავის საერთაშორისო ოქტომბერს, ხოლო მანამდის კი საჭიროა დიდი დახმარება გაუწიოთ მათ, როგორც მორალურად ისე მატერიალურად რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ციხე-ჯურღმულებში გამომწყვდეულ ამხანაგებისთვის.

რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, სხვა ორგანიზაციებთან ერთად ერთი მიწინავე ორგანიზაციათაგანია, რომელიც პირნათლად ემსახურება რევოლიუციისთვის მებრძოლ ამხანაგებს.

საჭიროა მეტი დახმარება და მეტი ყურადღება ამ ორგანიზაციისადმი, რათა გაუადვილოთ რევოლიუციისათვის მებრძოლთ ბრძოლა...

მუშათა, გლეხთა და სხვა მშრომელთა ფართე მასხები მთლიანად ჩაბმულ უნდა იქნეს რემეადასს-ში.



ს. ურუშაძე

მუშათა სიმღერა

(რუსულიდან)

შრომის შვილნო—
წინ! წინ, მედგრად!
დიდებულ დღეს შევეყაროთ!
ძირს ომი და იარაღი—
ძმური შრომით გავიხაროთ!

ჩაგრულნო ხალხნო!
შევიკრიბოთ ერთად თავი.
მივესალმოთ ძმობის დროშას—
ერთა შორის სიყვარულის:
სამუდამოთ დავსდოთ ზავი.

იარაღი ძირს!
ჯარისკაცნო შინ!
სამშობლოა ყველგან—
წინ! წინ! წინ!

ჩვენ რად გვინდა ზარბაზანი?!.
ძირს მახვილი. თოფი. ხმალი!
ძირს ჯალათი სისხლის მამელი!
ძირს იმათი სამართალი.

ნუ დაიღვრება სისხლი ძმებ შორის,
ჩვენ შეებრძოლოთ შავ ბედის წ რას!
კმარა ტანჯვები! შორს მოთქმა. ვიში.
გაუმარჯოს ჩვენს სიხარულს და სიმღერას.

იარაღი ძირს!
ჯარისკაცნო შინ!
სამშობლოა ყველგან—
წინ! წინ! წინ!

მშრომელთ სამშობლო საერთო არის,
ყველასია ზღვა. ხმელეთი—საჰყარო.
ძირს საზღვრები სისხლიანი—
შემოვძახოთ სიმღერები სანეტარო.

დავსწვათ ციხე—სიმაგრე.
შეუკვეცოთ იმათ ადა, სურვილი.
ძირს აღმოფხვრათ ხალხთა შორის
მტრობა. ზიზღი. სიძულვილი.

იარაღი ძირს!
ჯარისკაცნო შინ!
სამშობლოა ყველგან—
წინ! წინ! წინ!

მტარვალთა ხროვა კვლავ სისინებს
მტერი კვლავ სდგას ეს თავხედი,
ჯალათებთან ბრძოლის ცეცხლში
ნაწრთობია ჩვენი მკერდი.

ჩვენი ძმობა ცეცხლში დასწვავს
ხავს მოდებულ სისხლის დროსა,
ძველი ქვეყნის ნანგრევებზე:
ჩვენ ავღმართავთ: შრომისა და ძმობის დროშას!

იარაღი ძირს!
ჯარისკაცნო, შინ!
სამშობლოა ყველგან—
წინ! წინ! წინ!

პ. ქ — ძე

1825 წლის დეკემბრის აჯანყება

მამდინარე წლის დეკემბერში შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ რაც რევოლიუციის პირველი ყუმბარა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გავარდა ქ. პეტერბურგში (1825 წელს დეკემბერში)

როგორც ყველა იმპერატორები რუსეთისა, ისე მაშინდელი მეფეც ნიკოლოზ პირველი, მხოლოდ იმას ცდილობდა რომ რაც შეიძლება უფრო გაეტანჯა და გაეწამებია რუსეთის მშრომელთა ფართო მასსები, რაც შეიძლება უფრო დაეხშო და გაენადგურებია სიმართლე და ჰეშმარიტება თავის ტახტის შესანარჩუნებლად.

მაგრამ ამ სისხლიან იმპერატორის შავ-ზრა-

ხვებს წინ აღუდგა რუსეთის მაშინდელი საზოგადოების მოწინავე ელემენტები, რომელმაც თავის მთავარ მიზნად დაისახეს, იმპერატორის ტახტის დამხობა და ხალხის განთავისუფლება მისი დესპოტიზმისაგან.

შეთქმულთა რიცხვში იყვნენ პირველი დიდი რევოლიუციონერი, მეთაური დეკაბრისტების აჯანყებისა აპოსტოლ მურავიოვი, პოეტები: რილევი, ოდოევსკი, ბესტუჟევა და სხვ.

შეთქმულების მონაწილეთა პირველი გამოსვლა მოხდა პეტერბურგის ქუჩებში, როცა აჯანყებულთა წინააღმდეგ მიმართულმა ზარბაზნების ყუმბარებმა, აცნობა მთელ ქვეყნიერებას, რუსეთის ფართო მასსების პროტესტი და აღშფოთება თვით მპყრობელობის წინააღმდეგ.

მაგრამ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მიერ სასტიკად იქნა ჩაქრობილი აჯანყება, მან შეძლო თითქმის ყველა აჯანყების მეთაურთა დატყვევება, რომლებსაც ზოგს ახჩობდა, ზოგს თავს კვეთდა და აოთხებდა (Четвертвование) და ზოგს კი ციმბირის მიყრუებულ მაარეში გზავნიდა კატორღაში სამუშაოდ.

ასე მაგ. პოეტი რილევი, რომელსაც იმპერატორმა აღუთქვა პატიება, მაინც იქნა საჯაროთ ჩამოხრჩობილი.

მეორე პოეტი ოდოევსკი კი, სხვებთან ერთად გაგზავნილ იქნა ციმბირის კატორღაში.

ქვემოდ მოთავსებული ლექსი ეკუთვნის რუსეთის უდიდეს პოეტს პუშკინს, რომელიც, როგორც ვიცით დიდათ თანაუგრძნობდა დეკემბრის აჯანყებულებს და რომელმაც ეს თავის თანაგრძნობა კიდეც გამოხატა ლექსით: „დეკემბრის აჯანყებულები“ მეორე ლექსი, კი ეკუთვნის რევოლიუციონერ პოეტს ოდოევსკის, რომელიც წარმოადგენს პასუხს პუშკინის ლექსისას.

ა. ს. პუშკინი

დეკემბრის აჯანყებულებს

ყრუ, მაღდგომელ ციმბირის შმორში
კვლავ შეინახეთ ამაყი ნება...
იცოდეთ ჯველამ, რომ თქვენი შრომა
მალალ გონების აღარ გაჰქრება.
უბედურებას თან ახლავს მგზავრად
იმედი, რითაც მყრალ სარდაფებში,
კვლავ აღიგზნება თავისუფლება
და გვესტუმრება ცეცხლის თარეშით...
ძმობა, ერთობა და სიყვარული
მოვა თქვენამდე—მაგ ჯურღმულებში,
ისევ ით ჩემი ხმა-აღფოთების
დღეს აღწევს თქვენთან შავ-ბნელ საკნებში.
ო, დაიმსხვრევა მონობის ხუნდი
და ციხეებიც დაინგრევიან
და მაშინ ყველას თავისუფლებით
გადაგეხვევათ შრომის ძმებია.

მთარგ. პ. საბსოლნიძე.

ა. ოდოევსკი

პასუხი ა. ს. პუშკინს

სიმთა ძლიერი და აღგზნებული
აღწევს ჩენამდე ჰანგების რხევა.
გვსურს, რომ მტარვალზე ვიშიშლოთ ხმალი,
მაგრამ ბორკილებს ვინ გაექცევა?
იყავი მშვიდათ. შავ-ბედის წერით—
ვზივართ საკანში კმაყოფილებით
ხარიხებიდან გავსცქერით სივრცეს
დასცინით მეფეს ამ ბორკილებით,
არ დაიკარგვის შრომა და ტანჯვა,
ეს ნაპერწკალი აისვრის ალსა,
განათლებული ხალხის მასსები
ამართას დროშას, მახვილს და ხმალსა,
ამ ტყვეობაში გავსჭედავთ ისრებს
მოვა დიდება წამებულ ხალხთა—
მეფეთა რისხვას დასწვავს, დაფარავს
თავისუფლების ელვარე კალთა.

მთარგ. პ. აბრამია.

ერიხ მიუზამ

მარში-მიძღვნილი მაკს ხელცისადმი

ამხანაგებო, შეიარაღდით
დატოვეთ ყველამ დაზგა-ქვაბები.
დაირაზმენით და შეერთებით
მტერს შეუტიოთ აღფრთოვანებით.
დე, გაუმარჯოს ყველა საბჭოებს
დე, გაუმარჯოს ყველა მათ ვისაც,
არ დაიზარებს, რომ საჭიროებრ
გაიღოს მსხვერპლი დიდი საქმისა.

მალე დიჰკრავს გამარჯვების საათი
ჩვენთან არის ისევ მაკს ხელცი
აფრიალებს წითელ დროშას და ამით:
მოუწოდებს ბუშა მებრძოლთ: წინ, წინ წინ.

წელზე კიდიათ ყუმბარები...
ზურგს უკან კი, შაშხანები:
ეს ბიჭებია ხელცის
მიდიან ბრძოლაში ცეკვით.
ბურჟუა, კი თრთის, კანკალებს,
უვარდები კლიტე სკივრის...
ხელცი რევორვერს ატრიალეს,
„ანგარიში ჩქარა"—ყვირის.

(მიმღერება).

წითელო მამალო, იყივლე ისევ.
დე აფეთქდეს ყველაფერი...
ბურჟუა, მოიკრუნჩხე და იკვნესე,
თვალე მოგება სარდაფში, მტვერში.

მოუწოდე დახმარებას:—
„პოლიცია გენერალო,
დაიცავით კაპიტალი.
რევოლიუცია ონავარობს".

(მიმღერება)

ჯერ კიდევ არ დრკება ბურჟუა
ჯერ კიდევ ფული აქვს და ქუხს:
„ათასი მარკა იმას
ვინც გახვრიტავს ხელცის შუბლს"
თქვენ სისხლიანო, მკვლელებო!
ცელავთ წითელ ყანას?!.
მაგრამ აღსდგნენ მებრძოლნი
და გიმღერენ სულთათანას...

(მიმღერება)

დავიხოცებით? რაა მერე?!
ამხანაგებო, დე, დავიხოცოთ!
ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის
ეს მან არ უნდა გაიოცოს...
ეი, მუშებო, შეიარაღდით
დატოვეთ დაზგები და ქვაბები
დაირაზმენით და ერთად მარშით
მტერს შეუტიოთ აღფრთოვანებით

(მიმღერება)

მთარგ. პ. სამსონიძე.

ერიხ მიუზამ

შიმშილი

შებილწულია ჩვენი მინდვრები
და შიგ მარხია, როგორც თესლები,
პატარა ტყვიით დაკბენილები
მკვდრები ასობით და ათასობით.

წვირიან მიწის ხანძარს მოველით
მათ ნეშთებიდან და როგორც ასლი,
ჩვენ გვიბრუნდება ტვინის მწოველი
ძმობილო ომის—შიმშილი მკაცრი.

ის იმალება სახურავებში,
ჩამოდის სხვენთან, ჭიშკართან ძინავს,
მისი ზიარი გამხდარი თეფში
და სოფელს თავზე ჩუმათ დაფრინავს.

სდუმს მის წინაშე ენა და თვალი,
მაგრამ სასმენათ ყველასთვის კმარა,
თუ როგორ გააქვს კბილებს კანკალი
და თმები ყალყზე, როგორ დამდგარან.

ბავში ხელს კიდებს მშობელის უბეს
და იხედება სიცალიერე—
საფლავზე მიაქვთ პატარა კუბო,
როგორც ქვის გული და სიძლიერე.

მამასახლისი ბაასობს მღვდელთან,
ალბათ სოფელი ვერ იხდის საყოფს,
სუნთქვა ხშირი აქვთ, ფერი გამკრთალდა
—ჩვენ გავიმარჯვეთ,—სულელი ლაყბობს.

უცხო საზღვარზე დგას ჯარისკაცი,
პურის ნატეხსაც ვერსად იშოვის
და თუ შეხვდება ხიშტით ჩაკეცავს
თავის მეგობარს უცხოთა შორის.

არავის მტრობენ მილიონები,
მინდვრის სიღრმეში იძინონ მხოლოდ,
სულელის სიტყვა დასაღონები:
—ჩვენ გავიმარჯვეთ დღეს, საბოლოოთ.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში

პოლონეთი

პოლონეთის ციხეებიდან განთავისუფლებულმა, მუშებისა და გლეხების ერთმა ჯგუფმა მუშათა და გლეხთა ყველა ორგანიზაციებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

ჩვენ, ქვემო ამის ხელის მომწერნი, ბელოსტოკის ოლქის მცხოვრებნი მუშები და გლეხები, რომლებმაც დიდის წვალებითა და ვაი-ვაგლახით დავაღწიეთ თავი პოლონეთის სისხლიან ინკვიზიციას, ვსთვლით ჩვენს პროლეტარულ მოვალეობათ მოგმართოთ თქვენ დახმარებისათვის.

პოლონეთის „ოხრანკამ“ აგვისტოში დაიწყო ბელოსტოკის ოლქის მუშათა და გლეხთა მოძრაობის განადგურება. ყოველდღიურად ოლქის ყველა კუთხიდან ათობითა და ასობით მოყავდათ დაპატიმრებული მუშები და გლეხები.

აპატიმრებდენ პროფესიონალურ კავშირების ყველა თვალსაჩინო მოღვაწეებს. რევოლიუციონურ მოძრაობაში შემჩნეულ მუშებსა და გლეხებს, ბელორუსელ მასწავლებლობას და ყველა იმათ, ვისზედაც იოტის ოდენა ეჭვის აღება შეეძლო „ოხრანკის“ ჯაშუშებს.

დაპატიმრებები სწარმოებდა ბელოსტოკში, ზაბლუდოკში, სუპრალსში, მიხაილოვში და სხვ დაბა-სოფლებშიაც.

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ბავშები, ქალები და მოხუცები. „ოხრანკის“ ჯაშუშები მათ აპატიმრებდენ გაქცეულების მაგივრად. ბელოსტოკში აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში 700-ზე მეტი პატიმარი ირიცხებოდა, რომლებიც ხელისუფლებამ მოათავსა ადგილობრივ საავადმყოფოსა და ყაზარმებში.

აი, როგორ სწარმოებდა დაპატიმრებები.

პატიმრები მოყავდათ ჰოსპიტალში, ხდიდენ ტანისამოსს, შემდეგ შეაგდებდენ ბნელ ოთახში, სადაც იწყებოდა ყოვლად შეუწყნარებელი ცემა-წამება. უწინარეს ყოვლისა მათ აძლევდენ შეკითხვას: „შენ კომუნისტი ხარ?“ თუ უპარტიო გლეხი, ან მუშა უპასუხებდა უარყოფითად, მათ სასტიკად სცემდენ. შეუკრავდენ ხელ-ფეხს, სცემდენ თავში და სხვადასხვა თუ ნაცემი უგრძნობლად დაეცემოდა, მას ცივ წყალს გადაასხამდენ და ცემას ისევ იწყებდენ.

პირში ასხამდენ, მარილიან წყალში არეულ შარდს, ფრჩხილებში არჭობდენ ქინძისთავებს. სწკეპლავდენ შიშველ ტანზე, ქუსლზე, ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ „დამნაშავე“ არ დაეცემოდა გრძნობა დაკარგული. დღესაც ასეთ წამების ქვეშ სული ხდება 200-ზე მეტ პატიმარს.

პოლონეთის თეთრი პრესა და სოციალ-გამყიდველთა გაზეთები წინასწარ მოფიქრებით სდუმან ხელისუფლების ასეთ სისასტიკის წინაშე. ისინი დღესაც ისევე იქცევიან, როგორც 3.000 უკრაინელ გლეხების დაპატიმრების დროს მოიქცენ.

ჩვენ, გამოქცეულები პოლონეთის ციხის საშინელებისაგან, მოვმართავთ ყველა მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებს, ყველა პარლამენტების მუშურ-გლეხურ ფრაქციებს, გადაგზავნონ დელეგაცია პოლონეთში, რომ ადგილობრივად დარწმუნდენ ჩვენს განცხადების სინამდვილეში. ჩვენი განცხადება ერთი მეასედია იმ საშინელებისა, რომელსაც ადგილი აქვს პოლონეთის პანების ციხეების ნესტიან კედლებში. საჭიროა მათი დახმარება.

პოლონეთის ციხეებში მომწყვდეულთა სახელით ჩვენ ვსთხოვთ ყველა მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებს ყურადღება მიაქციონ ჩვენს განცხადებას. აღიმაღლეთ თქვენი ძლიერი პროტესტის ხმა. აიძულეთ პოლონეთის სისხლიანი ხელისუფლება შესწყვიტოს ეს საშინელი ცემა-წამება.

ხელს აწერენ:

1. სავჩუკ სტეფანე. 2. ლუკშა დავითი, 3. სედუნ ვიკენტი. 4. ბორატანსევიჩი ვლადიმერი. 5. ნოვიცკი ვლადისლავი, 6. ხომიუკი პავლე.

მაქს გოლდშტეინი

დოფტანის ციხეში (რუმინეთშია) 52 დღის შიმშილობის გამოცხადების შემდეგ გარდაიცვალა, რუმინეთის მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი—მაქს გოლდშტეინი.

მაქსი ყოფილი წითელ-არმიელი იყო. ის რუსეთის წითელ-არმიელებთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა უკრაინისა და პოლონეთის თეთრ ბანდებს. ის წითელ მხედრებთან ერთად მზად იყო თავი შეეწირა რევოლიუციისათვის.

მაქსი, როგორც ერთგული ყმა—ემსახურებო-

და ოქტომბრის დიდ რევოლიუციას, მის მონაპოვართა შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ჯერ კიდევ მაშინ, რუმინეთის ხელისუფლება ანადგურებდა ბესარაბიის სოფლებს, ის გამოეთხოვა თავის საყვარელ წითელ-არმიას და ფეხზე მოეაჭრის ტანისამოსში გადაცმული, პროკლამაციებით დატვირთული გადადის ქურდულად წითელ-საზღვარზე. ის მიიპარება რუმინეთში არალეგალური მუშაობის გასაღრმავებლად. ხელისუფლების მიერ განადგურებული სოფლებისა და ქალაქების ხელ-ახალი ბრძოლისათვის დასარაზმავად.

მაქსი მშვიდობიანად გადავიდა საზღვარზე, მაგრამ ის ორი დღის შემდეგ ისევ შეიპყრეს. რუმინეთის ხელისუფლების ჯალათებმა ცემა-წამებით სიკვდილის პირზე მიმდგარი მაქსი წარადგინეს ბოიარების სასამართლოში.

„სულგრძელმა" და „კაცთმოყვარე" სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა ვერ გადაუწყვიტა, რადგანაც ის მაქსისაგან ბევრ „საჭირო" ცნობების გაგებას მოელოდა. ხელისუფლება ციხის საკანში უგზავნიდა მას სხვადასხვაგვარად გადაცემულ პირებს, დახელოვნებულ და გამოცდილ ჯაშუშებს, რათა „გამოეკითხათ მისგან აუცილებელი ცნობები". მაქსი არა ერთხელ აწამეს ასეთ დარბაზობის დროს, ის ბევრჯერ მიაყენეს სიკვდილის პირზე, მაგრამ ხელისუფლების ერთგულ ლაქიების შრომა უნაყოფო აღმოჩნდა. მაქსისაგან „ხელმოსაკიდი" ვერაფერი გაიგეს.

მაქს ქონდა ორი გზა. სიკვდილი ცივ საკანში, ცემით, წამებით—ან სიკვდილი გაქცევის დროს. მან უკანასკნელი არჩია. დიდი გამბედაობა, ენერგია და გამოცდილება იყო საჭირო ამ ოცნების განხორციელებისათვის.

მაქსმა მოახერხა ციხიდან თავის დაღწევა. ის მთელი დღეებისა და კვირეების განმავლობაში ცივსა და ნესტიან სარდაფებში. მის გარშემო სუფევდა სისხლიან ხელისუფლების საშინელი რეჟიმი, მას ესმოდა ტანჯვა, კვნესა მშრომელთა.

რუმინეთის მშრომელ ხალხის ბედ-იღბალს განაგებდა **არჟესტოიანი**, რომელიც ოავის სისასტიკითა და ვერაგობით აჭარბებდა **ტიერსა და გალიფეს**.

მაქს არ ეძინა. ის ჭერქვეშ აკეთებდა ყუმბარებს, რომლის დროსაც მან დაჭკარგა მარჯვენა ხელი. ამის შესახებ არავის არაფერი არ გაუგია, ყუმბარას ის ამზადებდა მინისტრ არჟესტოიანის მოსაკლავად.

ამის შემდეგ გავიდა 3 თვე. მინისტრთა საბჭომ ჯალათი **არჟესტოიანი** გაგზავნა, რათა მიწასთან გაესწორებინა ბესარაბიის აჯანყებული სოფლები; მატარებელი მიაქანებდა არჟესტოიანს აღმოსავლეთის რკინის გზაზე, ცალხელა მაქსი—ამოფარებული იდგა ერთ-ერთ რკინის პატარა ხიდქვეშ. შემოდგომის სუსხიანი ღამე იყო. მაქსი ცალი ხელით დინამიტებს აწყობდა ხიდეში. ყველაფერი რიგზე მოაწყო. გაიყვანა მილი. უცდის მატარებელს. მატარებელი უახლოვდება ხიდს. მაქს ხელში უჭირავს ამაფეთქებელი მილი... ის უცდის აფეთქებას... საშინელ წუთებს... ის უცდის ჯალათზე შურისძიების წამს... მაქსმა ააფეთქა ხიდი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, მან ჩამოგლიჯა მატარებელს უკანასკნელი ვაგონი, სადაც არ აღმოჩნდა ჯალათი **არჟესტოიანი**... ის გადარჩა...

ორი თვის შემდეგ მაქსი შეძვრა რუმინეთის სენატში. ახალგაზრდა მაქსი მიდიოდა სასიკვდილო

მაქს გოლდშტეინი

გარდაიცვალა რუმინეთის ციხეში, „დოფტანა"-ში 52 დღის შიმშილობის გამოცხადების შემდეგ.

გზაზე. სენატში მოხსენებას აკეთებდა სისხლიანი **არჟესტოიანი.** როდესაც მან წარმოსთქვა სიტყვა: **„დეე ახსოვდეთ ბანდებსო"** შეირყა სასახლის კედლები, დივნებიდან ჩამოვარდენ სენატორები, მაღლიდან დაეშვა ჭერი—ჯოჯოხეთის მანქანამ სთქვა თავისი სიტყვა... აფეთქდა სენატი... მაღლა, გალერეიაზე ჩუმად მიმალული უმზერდა მაქსი. მის თვალებში კრთოდა შურისძიების აღგზნებული ცეცხლი, მაგრამ **არჟესტოიანი** გადარჩა...

მაქსს მიუსაჯეს საუკუნო კატორღა. განა იმი-

ტომ, რომ ის მხოლოდ 20 წლის ახალგაზრდა ყმაწვილი იყო? არა! სასამართლოს მოსაზრებით დახვრეტა მისთვის ძლიერ მსუბუქ სასჯელად ჩასთვალეს. ხუთი წლის საშინელი ტანჯვა-წვალებით მაქსმა საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობისა და შეუდრეკელი ბრძოლის ისტორიაში შეიტანა უდიდესი სტრიქონი: **ის გარდაიცვალა 52 დღის შიმშილობის გამოცხადების შემდეგ,** რომელიც მან გამოუცხადა არსებულ ციხის საშინელი რეჟიმის საპროტესტოდ ხელისუფლებას.

მაქსი ბოიარების სისხლიანმა რეჟიმმა აიძულა აერჩია ეს უმაგალითო სიკვდილი. მაქსის სიცოცხლე და მოწამებრივი სიკვდილი—ეს არის სიმბოლო რუმინეთის მშრომელ ხალხის ბრძოლისა და ცხოვრებისა.

გარდინ

ჰუნგრეთი

ჰუნგრეთში უკანასკნელ ხანებში გაძლიერებული რეპრესიები დაიწყო მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ. სასტიკ დევნასა და შევიწროებას განიცდიან არა მარტო კომუნისტები, არამედ სოციალისტურ მუშათა პარტიის წევრები და პროფესიონალურ კავშირების უპარტიო წევრებიც კი. მთელს მხარეში ყოველ დღე ხდება დაპატიმრებები.

გასულ კვირეებში **ხორტის** მთავრობამ დაანგრია მუშათა პარტია, და შეიპყრო ჰუნგრეთის მუშათა მოძრაობის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეებისა. უკანასკნელთა შორის შეპყრობილია, საბჭოთა ჰუნგრეთის მთავრობის ყოფილი წევრი: **მატიას რაკოში.** ის ზის ციხეში ბორკილებში დაჭედილი. მას მოელის სიკვდილით დასჯა.

ამხ. რაკოში ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ომის დროს ის გაწვეული იყო ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარში. 1915 წ. ის ტყვედ ჩაუვარდა რუსეთს, საიდანაც ის გაანთავისუფლა რევოლიუციამ. ამის შემდეგ ის მიდის ჰუნგრეთში ჯარში არალეგალურ მუშაობის სახელმძღვანელოდ.

1918 წ. შემოდგომაზე, როდესაც პირველად შესდგა ჰუნგრეთის კომუნისტური პარტია, ის პირველად გადავიდა მის მხარეზე, აქ ის ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო აგიტატორად და მომუშავედ. ის მეტად გონიერი პოლიტიკური მოღვაწე იყო, დიდი ენერგიის პატრონი, ყოველთვის მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობას ასრულებდა.

თავისუფალ ჰუნგრეთის სახალხო კომისართა საბჭოში, ის ასრულებდა ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისრის თანაშემწის მოვალეობას. მთელი რევოლიუციის განმავლობაში ის საბჭოთა ხელისუფლების გარკარგულებაში იმყოფებოდა, საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ ამხ. რაკოში გაიქცა ავსტრიაში ქ. ვენაში. აქ მას აპატიმრებენ სხვა აქტიურ ხელმძღვანელებთან ერთად. თავის დაღწევის შემდეგ, ის მიემგზავრება მოსკოვში დელეგატად კომინტერნის მე-II-ე კონგრესზე, სადაც მოკლე ხანში მას ნიშნავენ აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად. მე-III-მე კონგრესის შემდეგ მას ისევ ირჩევენ ამავე თანამდებობაზე.

ბოლოს ჰუნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ ამხ. რაკოში ისევ უკან მოიხოვა. ის უკანასკნელ ხანებამდე მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰუნგრეთის მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებაში, მაგრამ სისხლიან ხორტის ხელისუფლება, რომელიც ლამობს მუშათა კლასის საუკეთესო ხელმძღვანელთა განადგურებას, მისი მოძრაობის ჩაქრობას—სჭედავს მას რკინის ბორკილებში.

აპატიმრებენ არა მარტო ხელმძღვანელებს, არამედ, კომპარტიისა და რევოლიუციონურ მოძრაობისადმი სიმპატიით განწყობილებსაც კი. ახლო მომავალში დაიწყება 22—სამთამადნო მუშების გასამართლების პროცესი, რომლებიდან 6—სიკვდილით დასჯა მოელის, დანარჩენებს კი 10-10 წლის კატორღა.

1918 წ. 6 ქვეითა ჯარის ნაწილმა ფრონტზე გასვლაზე უარი განაცხადა. ისინი არ ჩასხდენ ვაგონებში, შეიპყრეს თავიანთი ოფიცრები, დაიკავეს ყაზარმები, გამოუშვეს მოწოდებები, სადაც მახლობლად მდებარე სამთა-მადნო წარმოებისა და მადნების მუშებს სთხოვდენ შემოერთებას. სამთა-მადნო მუშებში, რომლებსაც კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალა სდარაჯობდა, მხურვალე გამოძახილი იპოვა, თავიანთი მოძმე ჯარისკაცების მოწოდებამ. მუშები ათიათასობით მოდიოდენ ქალაქში, მათ გზის გადასაჭრელად ხელისუფლების მიერ გაიგზავნა არტილერიისა და ტყვიისმფრქვეველთა რაზმები სისხლიანი შეტაკების შემდეგ აჯანყება ჩაქრობილ იქნა და სასამართლო შეუდგა თავის „საქმეებს“ 16 ჯარისკაცი და 2 სამთო-მადნო მუშა დასჯილ იქნა. დანარჩენი 68 – მუშა ჩასვეს ციხეში, ისინი აქ იტანჯებოდენ რამოდენიმე თვეების განმავლობაში. ბოლოს მათ რევოლიუციის წყალობით თავი დააღწიეს ციხის კარცერებს.

შემდეგ კვლავ გამეფდა კონტრ-რევოლიუცია, თეთრმა ტერორმა მხარეში დაიწყო თავისი „საქ-

მიანობა". რადგანაც ამის შემდეგ კვლავ დაიწყო ციხიდან განთავისუფლებულ სამთა-მადნო მუშების დევნა ისინი გაიქცენ სამხრეთ-სლავიაში.

მალე ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ის უკვე აღარ დევნის მუშებს და მოითხოვა უკან ემიგრანტი-მუშები. ხელისუფლების დაპირების თანახმად მათ არავითარი საფრთხე არ მოელოდა, რადგან სამშვიდობო ხელშეკრულების მუხლში 229—ნათქვამი იყო: ხელისუფლება არ სდევნის ომის დროის დამნაშავეებს; აჯანყებებში, ღალატებში და სხვისაც მსგავსი დანაშაულის გამო რიიმე მისჯილი აქვს, მას ეძლევა სრული ამნისტია".

სამთა-მადნო მუშე'ის რამოდენიმე ნაწილი დაბრუნდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩავარდა ხაფანგში. ისინი შეიპყრეს და ჩაყარეს ციხეში, სამხედრო პროკურორი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მოითხოვს 6 კაცის დასჯას. 12-ის ჩამოხრჩობას, ხოლო დანარჩენი 4-სა კი დახვრეტას. დანარჩენი 15 სამთა-მადნო მუშებისათვის 5—10 წლამდე ციხეს იზოლიაციით.

ასეთია თანამედროვე ჰუნგრეთის მდგომარეობა, რომლის ბედ-იღბალს განაგებს სისხლიანი ხორტის ხელისუფლება, თავისი თეთრი იუსტიციითა და ტერორისტულ ბანდებით.

ერიხ მიუზამ *)

მაქს ხელცთან შეხვედრა **)

ნიდერშენელფელდის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ გერმანიაში ჩემი მოგზაურობის ღროს, მე შევხვდი მაქს ხელცს, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე.

11 ივლის ჩემ ცოლთან ერთად გავემგზავრეთ ბერლინიდან. 12 ივლისის შუადღემდე ჩვენ უნდა გაგვეგო: შეიძლებოდა თუ არა მაქს ხელცთან შეხვედრა, რომელიც იჯდა ბრესლაოს ციხეში.

როდესაც ჩქარი მატარებელი ბრესლაოს სადგურთან შეჩერდა, ბაქანზე ჩვენ დაგვხდა „წითელ დახმარების" წარმომგდგენყლებთან ერთად, ამხ. ტრაუტე, რომელიც მხოლოდ წინა დღით გახდა მაქს ხელცის კანონიერი ცოლი. ჩვენ ვიცნობდით ამხ. ტარუტეს.

მაქსა და ტრაუტეს შორის რომანიულ სიყვარულს ნაკლ ბი ადგილი ქონდა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში მე ერთ-ერთ ამხანაგის საშუალე ით გავიგე, რომ მაქსი ეძებს ქალს რომელიც კანონიერად დაქორწინდება მასზე. ის მთხოვდა მომენახა მისთვის შესაფერისი ადამიანი, რომელიც მას შეუმსუბუქებდა ციხეში ჯდომის საშინელ პირობებს, თავისთავად ცხაოია აქ საქმე იმაშია, რომ ეს ქალი უნდა ყოფილიყო სავსებით, რევოლიუციისადმი სიყვარულით გამსჭვალული.

თავისებური ქორწინების გეგმა მაქს ხელცისა მე სრულიად მისაღებად მომეჩვენა. ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ მაქსის არჩევანი იყო ძლიერ მისაღები და მოსაწონი. ჩვენს შორის დიდი მეგობრობის კავშირი განმტკიცდა, ტრაუტე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა—მოეხერხებინა ჩვენი მაქსთან შეხვედრა, რომელსაც ჩვენ მანამდის მხოლოდ წერილების საშუალებით ვიცნობდით.

ხუთშაბათს დილით ადრე ჩვენთან მოვიდა ამხ. ტრაუტე; ჩვენ ერთად ტრამვაით წავედით ქალაქს გარედ ციხეში, სადაც იჯდი ამხ. მაქს ხელც. მან

მაქს ხელც

ცნობილი გერმანელი რევოლიუციონერი.

თითით გვიჩვენა უზარააზარი სახლის მეორე სართულის ერთ-ერთი რკინის ხარიხებით დაბანდული ფანჯარა.

— ეს არის მაქსის საკანი,—სთქვა ტრაუტემ.

ჩვენ შევედით ციხის ტერიტორიაზე, ცხვირპირში გვეცა ციხის საშინელი, უსუფთაო და მყავე ჰაერი. ჩვენ ჩინებულად მიგვიღეს, შევედით მისაღებ

---

*) ერიხ მიუზამ—ცნობილი რევოლიუციონერი პოეტია. მას მისჯილი ქონდა 15 წლის ციხე. 5 წლის შემდეგ ის პირობით გაანთავისუფლეს ნიდერშენენფელდის ციხიდან.

**) მაქს ხელცი—ცნობილი გერმანელი რევოლიუციონერია.

განყოფილებაში, სადაც იმავე წუთში შემოვიდა ამხ. ამმონ. გვთხოვა დაგვესვენა.

— მე ეხლავე ვაცნობებ თქვენს მოსვლას ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელს,—სთქვა მან. ის პატივისცემა, რომლითაც ჩვენ მიგვიღო ციხის მოსამსახურეებმა, ნათლად მოწმობდა იმას, თუ რამდენად შესძლო მაქსმა ბისდამი პატივისცემის გამოწვევა ციხის ადმინისტრაციისაგან.

11 საათის ნახევარზე გვთხოვეს დაგვეტოვებინა მისაღები განყოფილება. გზაში ჩვენ გვესალმებოდა ციხის მასწავლებელი. მან ჩვენ ციხის სამმართველოს განყოფილებაში გაგვატარა. ფანჯარასთან დაჯდა მასწავლებელი, ჩვენთვის სკამები დააწყვეს კარებთან. რამოდენიმე წუთის შემდეგ გაიღო კარები. უეცრად სიხარულით შემოვარდა მაქს ხელცი.



ერიხ მიუზამ

ცნობილი გერმანელი პროლეტარული პოეტი და რევოლიუციონერი.

შეხვედრის პირველ წუთებში ჩვენი აღფრთოვანება აუწერელი იყო.

მე მახსოვს მაქსის პირველი სიტყვები:

— მე ვფიქრობდი, რომ შენ უფრო გრძელი წვერები გექნებოდა.

ეხლა არ მახსოვს, თუ რა უპასუხე მე ამ სიტყვებზე ამხ. მაქს. მან ამოიღო ორი ფოტოგრაფიული სურათი, ერთი ჩემთვის მეორე კი ამხ. ზენზელილისათვის, შემდეგ კიდევ ერთი—ჩვენი საერთო ამხანაგისათვის—იუსტიციის სოვეტნიკის ფრენკელისათვის, გვთხოვა ეს სურათი გადაგვეცა მისთვის. ეს იყო პირველი ფოტოგრაფიული სურათი რომლის გადაღების ნება მისცა მან ციხის ადმინისტრაციას.

ჩვენ შევადარეთ სურათი ორიგინალს, გამომეტყველება შესაფერისი იყო, მაგრამ მაინც ცოტაოდენი შეცვლით... მაქს ხელც დაახლოვებით 40 წლისაა. მისი სახის გამომეტყველება ამჟღავნებს მასში დიდ ენერგიას და ნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საუბარი მაქსთან იყო მეტად ზრდილობიანი, ჩვენ მაინც ვერ დაგვტოვეს მარტო. ჩვენ მაინც არ გვეცალა პოლიტიკურ საუბრისათვის... ვსაუბრობდით საერთაშორისო მდგომარეობაზე და მოსალოდნელ პოლიტიკურ ამნისტიაზე... ბოლოს დაგვრჩა ჯოჯოხეთური საათ ნახევარი, რომელიც უფრო საჭირ-ბოროტო ამბებისათვის უნდა გამოგვეყენებია.

მაქს ხელცი დავისი რევოლიუციონური მოღვაწეობით, 1920 და 1921 წ. წ. ეკუთვნოდა კომუნისტურ პარტიას. მაქსი ისევ ამბობდა:

— მიმდინარე წლის ბოლო ხანებამდე მე თავისუფალი ვიქნები...

მაქსი ფიქრობს, განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა რუსეთში გამგზავრებას, რადგანაც მთელი მისი სურვილი და აღფრთოვანება აქეთკენ ისწრაფის. ის მხოლოდ მათზე ფიქრობს, იქ არის მისი საბრძოლო ის აქეთკენ ისწრაფის. ის დარწმუნებულია, რომ გერმანეთის პროლეტარიატი ჩქარა გამოიღვიძებს, რომელიც მას გაანთავისუფლებს ბრესლაოს ციხის კარცერებიდან. ეს წამი არც ისე შორსაა... ვისაუბრეთ კიდევ ბევრ სხვა რამეებზე, ამასობაში საათ ნახევარიც უკვე გავიდა, სიყვარულით და ალერსით გადაგვეხვია ამხ. მაქსი.

რამდენიმე დღის შემდეგ კომუნისტურ პრესაში წავიკითხეთ, რომ მაქს ხელცს დიდი უკმაყოფილება მოუხდა ციხის ადმინისტრაციასთან. რომელმაც ჯაჭვებში ჩასჭედა არა მარტო მაქსი, არამედ დააპატიმრა მისი მეუღლე ტრაუტე-ხელციც.

ამრიგად ხელცს მიეცა ბედნიერება ერთ ჭერქვეშ გაეთენებინა რამდენიმე ღამე; მიუხედავად ამისა მან მაინც ვერ მოახერხა ნახვა.

ტრაუტე რამდენიმე ხნის წინად ჩვენთან ჩამოვიდა ბერლინში. ეს ამბავი დიდ ხანს არ დარჩენილა საიდუმლოთ, ერთხელ პენბურგის წითელფრონტელებმა წითელი დროშით ჩაიარეს ჩვენს ფანჯარასთან.

დაუსრულებელი ყვრილი, მაქს ხელ-ცის საპატივცემლოდ, აგრეთვე სხვა დანარჩენ 7.000 პოლიტიკურ პატიმრებზე, უნდა დაუმტკიცონ ჩვენს გმირს —ტრაუტე-ხელცს, რომ მსხერპლი და ტანჯვები, რომელიც მან თავის თავზე მიიღო რევოლიუციის საკეთილდღეოთ. ისინი ღირსნი არიან გერმანიის პროლეტარიატის პატივისცემისა—მაქს ხელც ღირსია ამისა...

ა. პოდომსკი

თეთრი ტერორი პოლონეთში

I

პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში გამ ფებული თეთრი ტერორის დასახასიათებლად, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების და ვაჟების (17—19 წ.), მოგვყავს შემდეგი ცნობები. ეს საბუთები ხელმოწერილია იმ პირების მიერ რომ ებმაც თვითონ გადაიტანეს თეთრი ტერორის საშინელებანი წარმოდგენილი საბუთები ნათლად და ოვალსაჩინოდ ასურათებენ ხელისუფლების მეთოდებს, რომელსაც ისინი მიმართავენ რევოლიუციონურ მოძრაობაში შემჩნეულ ამხ. ცემა-წამების დროს.

პოლონეთის პოლიციის მოხელეები ყოველგვარ ზომ ბს მიმართავენ მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობის გასანადგურებლად.

საქმე სწარმოებდა ქ. ბელოსტოკში.

პოდომსკი, (დაბადებული 1909 წ) მცხოვრობი ბელოსტოგანის ქუჩაზე. პროფესიით ნოქარი, იძლევა შემდეგ ჩვენება : „მე დამაპატიმრეს მიმდინარე წლის აგვისტოს 28. დამკითხ ს მეორე დღეს რომელიც სწარმოებდა 12-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაკითხვის დროს პოლიციის აგენტები მე ძალიან ხშირად მასაჩუქრნბდენ ცემით, მცემდენ რკინის მავთულით მთელ სხეულზე, შემდეგ ხელები მიმიკრეს მუხლებთან, ბაწარში გაუყარეს დიდი ჯოხი. რამოდენიმე ჯერ შემატრიალეს ამ ჯოხის გარშემო. პირში ჩამჩირეს წინდები და დიდხანს მსცემეს რკინის ძათრახით ფეხებში. მიბრძანეს წამომდგარიყავი ფეხებზე, რომელიც მე ველარ შევსძელი, რადგანაც ცემისაგან ფეხები უკვე დასივებული მქონდა; რის შემდეგ მე მისროდენ ერთი კუთხიდან მეორესაკენ. ამის შემდეგ მე ჩამასხეს წყალი ცხვირში, ამასთან ერთათ მე მარტყამდენ შიშველ სხეულზე. ცხვირში წყლის ჩასხმის დროს, მე მიჭერდენ ყელში და მაჯდებოდენ მუცელზე. ცხვირში ჩამასხეს 6 ბოთლი წყალი.

ყველაფერი ამისი მოწმე ვიყავი მე თითონ, რასაც ვადასტურებ ჩემი საკუთარი ხელის მოწერით.

II

ასეთი ცემა-წამება, მხოლოდ ცოტათი შეცვლით გამოიარეს ქვემო ჩამოთვლილმა ამხანაგებმ : ძილბრმა (დაბ. 1903 წ.) ლებენდზმა (დაბ. 1908 წ.), ფლეიშერმა (დაბ. 1910 წ.), ედელშევინმა (დაბ. 1909 წ.). სანდლერმა (დაბ. 1909 წ.), კამენოვიჩმა (დაბ. 1907 წ.) და გრინშტეინმა (დაბ. 1909 წ.).

რამოდენიმე ამათგანი არ უცემნიათ რკინის მათრახით, მაგრამ ისინი დიდხანს აწ მეს. არანაკლებად აწამებდენ პატიმარ ქალიშვილებსაც. აი, რას გვიჩვენებს ამხ. **კლენი** დაბ. 1908 წ., უკანასკნელი პროფესიით უკუთვნის ქოლგების გამკეთებლებს.

მე დამაპატიმრეს მიმდ. წლის აგვისტოს 28. მეორე დღეს, ჩემი დაკითხვა გაგრძელდა 1 დან, ნაშუადღევის 4 საათამდე დაკითხვის დროს მე ხელებზე მიჭერდენ რკინის რკალებს. შემდეგ მე ხელები მუხლებზე მიმიკრეს, გამიყარეს ჯოხი. ამ მდგომარეობაში მე მატრიალებდენ რამოდენიმე საათის განმავლობაში და მცემდენ შიშველ ტანზე.

მე წყალს მასხამდენ პირში. მიჭერდენ კისერზე. მინდოდა დამეყვირა მაგრამ ველარ ვახერხებდი, რადგანაც პირში შეჩოილი მქონდა დასვრილი წინდები. ასე გავრძელდა 1/2 საათის განმავლობი, რის შემდეგ მე უგრძნობლად დავეცი. როდესაც მე გამოვფხიზლდი, თავში ფიცას მირტყამდენ. ეს არის სინამდვილე, რომელსაც ვადასტურებ ჩემ ს კუთარი ხელის მოწერით.

კლენი.



რემედასი ს

დეგ მიდის ჩეხო-სლოვაკია, სადაც შედის 350.000 წევრი, იტალია—130.000 წევრი და საფრანგეთი—40.000 წევრი.

6. რემედას-ის სექციები.

დღეისთვის რემედას-ის სექციები არსებობენ 34—სხვა და სხვა ქვეყნებში რომლებიც გაერთიანებულნი არიან 2200 კომიტეტში და 1.125 უჯრედში.

7. მატერიალური დახმარება, რომელიც გაუწია რემედას-მა პოლიტ-ტუსაღებს და მათ ოჯახებს.

საერთოდ რემედას დღემდის საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგებისათვის გაუწევია შემდეგი დახმარება:

1923 წელში	279.281 მან.
1924 „	1.292.922 „
1925 „	1.448.802 „
(სექტემბრამდის)	
სულ	3.021.010 „

გარდა ამისა 500.000 მანეთი დახარჯულ იქნა საბჭოთა კავშირში გადმოხვეწილ პოლიტ-ემიგრანტების მოსაწყობად, რომელთა რიცხვი დღეს ადის 7000 კაცამდის. პოლიტ-ტუსაღებისათვის აგრეთვე იურიდიულ დახმარების გასაწევად დახარჯულია დიდ-ძალი ფული.

აი, ყველა ეს ციფრები აშკარად გვიჩვენებენ მას, თუ როგორ იზრდება წევრთა რიცხვი რემედასისა და როგორ დიდ დახმარებას უწევს ის კაპიტალისტურ ქვეყნების საპყრობილეებში გამომწყვდეულ პოლიტ ტუსაღებს, რომელთა რიცხვი თეთრი ტერორის გაძლიერებით თან და თან მატულობს, მომავლისათვის კი, რემედას-ის მუშაობის კიდევ უფრო გასაცხოველებლად საჭიროა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა, რომ ამით რაც შეიძლება მეტი დახმარების გაწევა შევძლოთ იმ ჩვენი ამხანაგებისათვის, რომლებიც იტანჯებიან კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში და რომელთა ცოლშვილს სული ხდება სიმშილისაგან.

რემედას-ის ყოველ წევრის მოვალეობას წარმოადგენს, რომ თვით მუშაობა შემოწირულებების შეკრების საქმეში არა თუ შეასუსტონ არამედ კიდევ უფრო უნდა გააცხოველონ და გააძლიერონ.

რემედას-ი მხოლოდ მაშინ შეძლებს თავის მოვალეობის მართლა პირნათლად შესრულებას საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგების წისაშე, რომლებიც გულის ფანცქალით ელიან ჩვენდგან თბილ სიტყვას და მატერიალურ დახმარებას.

რემედას-ის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა

1924 წელს 12 ოქტომბერს რემედას-ის კონფერენციამ ჯამი გაუკეთა ყოფილი გამგეობის მოქმედებას, რომლის მუშაობა დაკმაყოფილებულად სცნო, რის შემდეგ არჩეული იყო სამაზრო კომიტეტი. სამაზრო კომიტეტმა თავის მოქმედებას საფუძვლად დაუდო ის, რომ რაც შეიძლება, მასის თვალში რემედას-ი გამხდარიყო პოპულიარული, ამ მიზნით ის ეწეოდა და ეწევა აგიტაციას, როგორი ზეპირი აგრეთვე ბეჭდვით და ხმარობდა ყოველივე ღონის ძიებას, რათა გაეძლიერებია რემედას-ი როგორც წევრებით აგრეთვე ფინანსიურადაც. რომ წევრების თვალში უფრო მაღლა აგვეწია რემედას-ის პოპულიარობა და ყველასათვის ნათელი ყოფილიყო, თუ როგორი დახმარებას უწევს რემედას-ი იმ მშრომელ ხალხს, რომელთაც ხმა აქვთ ამაღლებული თავიანთი მტანჯველებისადმი ამისათვის იმართებოდა კრებები წარმოდგენები სადაც კეთდებოდა მოხსენებები რემედას-ის შესახებ, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდა მსმენელებზე. ამ ხნის განმავლობაში ჩატარებული იქნა რემედას-ის კვირეული, რასაც დიდ მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ის ვინც ვერ იცნობდა და არც იცოდა თუ რას წარმოადგენდა ეს საზოგადოება საშ ალება მიეცა გაეცნო ამ საზოგადოების მიზნები და მოქმედებანი რასაც შედეგი, მოყვა რომ დღეს ქ. ქუთაისის სინამდვილეში ძნელი გამოსაძებნია ის მუშა-მოსამსახურენი, მოწაფეები და წითელ არმიელნი, რომ არ იყვნენ რემედას-ის წევრნი და არ ჰქონდეს ამ საზოგადოებაზე ნათელი წარმოდგენა.

18 მარტი აღნიშნული იყო როგორც რემედას-ის დღე. ყველა ჩატარებულ დღესასწაულებში და დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას. სამაზრო კომიტეტს, რომ თავის დონეზე დაეყენებია რემედას-ი ორგანიზაციულად მან თავის მუშაობა დაყო შემდეგ დარგებათ: მუშა-მოსამსახურეთა, ნოწაფეთა, წითელ-არმიელთა ა. ლ. კ. კ. და გლეხთა შორის. რაც შეეხება მუშა-მოსამსახურეთა შორის მუშაობას გამოიხატება იმაში, რომ ქალაქის ფარგლებში არის დღეს დღეობით 2.483 წევრი მათ შორის მამაკაცები 2.068 დედაკაცები 415 კომპარტიის წევრები 183 უპარტიო 2300; ჩატარებულია უკვე კომპანია რემედას-ის უჯრედების გადახალისებისათვის თანახმად რემედას-ის დებულებისა დღეს დღეობით აღნიშნული წევრები გაერთიანებულნი არიან 53 უჯრედში. ქალაქის ფარგლებში მყოფ წევრებისათვის რემედას-ის აღმზრდელობითი მუშაობა უფრო ფართოდ არის გატარებული, მოწყობილია ცენტრალურ მუშათა კლუბში რემედას-ის კუთხე

სადაც წევრებს საშვალება ეძლევათ ისარგებლონ რემედას-ის სხვა და სხვა ლიტერატურით მოწყობილია აგრეთვე რამოდენიმე უჯრედებთან კუთხეები წევრებისათვის სისტემაციურად იმართებოდა რემედას-ის ცეკადგან გადმოგზავნილი „დიაპოზიტები, სურათების ჩვენება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოწაფეთა ღტოლვა რემედას-ის რიგებისაკენ ასეთი სასურველი მოვლენას სამაზრო კომიტეტმა მიაქცია ყურადღება მათთვის განსაკუთრებით ეწყობოდა ლექციები იგზავნებიან მომხსენებლები თავიანთი მოახოვნილებით მოწაფეთა კრებებზე, ეწყობა მათთვის სურათების ჩვენება თვით მოწაფეები აქტიური მონაწილეობას იღებენ ყოველგვარ წამოწყებებზე რაიც უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. დღეს რემედას-ის რიგებში ირიცხება 384 მოწაფე.

გლეხთა შორის მუშაობა უნდა ითქვას, რომ ცოტათი მოიკოჭლებს, რადგანა მათში მუშაობდა დაკისრებული ქონდა რაიონებს, რისთვისაც მათ ქონდათ დაგზავნილი სათანადო დირექტივები. მაგრამ ტეხნიკური მოუხერხებლობის გამო ვერ იქნა შესრულებული სათანოდოთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა გლეხთა ლტოლვა რემედას-ისკენ თანდათანობით ძლიერდება განსაკუთრებული ხელმძღვანელობას მათთან მუშაობაში კისრულობს სხვა და სხვა უჯრედები, რომელნიც იღებენ შეფობას და ეწევიან ალმზრდელობითი მუშაობას ამ რიგათ დღეს რემედას-ის წევრებათ ითვლება სოფლის გლეხობა წიწელ-არმიელები შემოდიან სამ-კომში მხოლოდ რუსული ნაწილებიდგან ქართული ნაწილებიდგან სამაზრო კომიტეტს არ აქვს დამოკიდებულება წითელ-არმიელთა რიცხვი უდრის 60 წევრს.

სამაზრო კომიტეტი აერთიანებს ოთხ რაიონს ტყიბულის, სამტრედიის და რკინის გზის რაიონებს წევრთა რაოდენობა რაიონებში უდრის 2029 კაცს რაიკომები თავიანთ მოქმედებას საზღვრავენ მხოლოდ სამაზრკომიდგან გაგზავნილი ცირკულიარებით და დირექტივებით, რაც შეეხება ორგანიზაციული მუშაობა რაიონებში მოიკოჭლებს ამის მიზეზად უნდა ჩაითვალს, ის რომ რაიონში არ არის განთავისუფლებული ამხ. რომ შეასრულოს ყოველივე დავალებები. რის აღმოსაფხვრელად სამაზრო კომიტეტს განზრახული აქვს მიიღოს სათანადო ზომები. მიღებული ქონდა რა სამაზრო კომიტეტს მხედველობაში ის, რომ რემედას-ი გაძლიერებული ყოფილიყო როგორც წევრებით აგრეთვე ფინანსიურიდაც ამისათვის ის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იღებდა ყოველგვარ ზომებს. ყოველ წევრს თავის დროზე გადაეხადა თავისი გადასახადი ეს მართლადაც დადებითად ტარდებოდა ცხოვრებაში მანამდის სანამ გადავედით დღიურ გადასახადებზე, რამაც ცოტათი შეასუსტა საწევრო გადასახადების შემოტანა. ვრცელდებოდა ჟურნალები, ფასიანი ფურცლები, ჟეტონები და სხვა და სხვა რემედას-ის ცეკას გამომოცემები თუ რა გააკეთა სამაზრო კომიტეტმა ამ ხნის განმავლობაში ამისათვის მოგვყავს ცხრილი.

1924 წლის პირველ ოქტომბრიდან 1925 წლის პირველ დეკემბრამდე.

საწევრო	თავისუფ. შემოწირ.	წარმოდგენები.	ჟეტონები.	სხვ. და სხვ ლიტერატ.	ფასიანი ფურცლები.	სულ.
3303—69	541—10	619—07	139—10	450—01	1685—82	6769—59

გასავალი კი უდრის ნაშთი 6110—39 კაპ. აქედან გადაგზავნილია რემედას-ის ცეკაში 59-33 მან. 88 კაპ. სამაზრო კომიტეტში რჩება 172 მან. 45 კაპ.

დავაარსეთ რემედას-ის უჯრედი

(ქართული მე-3-ე ქვეთა ლეგიონი).

მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ხანია გვქონდა განზრახვა, ჩვენს ლეგიონში რემედას-ის უჯრედის დაარსებისა, ჯანასკნელ ხანამდე ვეღარ მოხერხდა. მიმდინარე წლის 13 ნოემბერს, აღნიშნულ ლეგიონის სკოლის შემადგენლობის საერთო კრებაზე საფუძველი ჩაეყარა რემედას-ის უჯრედს, არჩეულია რემედას-ის უჯრედის წევრები.

არჩევნებამდე, რემედას-ის მნიშვნელობაზე და ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ყ—მ, რომელმაც ჩინებულად დაახასიათა რემედას-ის საერთაშორისო მნიშვნელობა. მისი მუშაობის ნაყოფიერება.

კრებამ ბიუროს წევრებს დაავალა ენერგიული მუშაობა აწარმოონ ლეგიონის ფარგლებში.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ არჩეული ამბანაგები მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან რემედას-ის უჯრედს და გააცხოველებენ მუშაობას წითელ-არმიელებს შორის.

გუშაგი.

რაშია საქმე?

(II-რე ქართ. დივიზია)

ამ ბოლო ხანებში ჩვენი დივიზიების თითქმის ყველა ნაწილთა სამხკორები ნაკლებად აშუქებენ ნაწილებში არსებულ რემედას-ის უჯრედთა მუშაობას.

ამ რამოდენიმე ხნის წინად კი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ მუშაობაში, რის შემდეგ დაწვრილებით შუქდებოდა მათგან აღნიშნული ორგანიზაციის მუშაობა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. უკანასკნელ ხანებში კი, რაღაც მიზეზების გამო არაფერი ისმის.

იმ დროს, როდესაც ნაწილის სხვა მხარეებზე მრავალად შუქდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამბები, რემედას-ის უჯრედების შესახებ სრულიად აღარაფერი ისმის. თუ სხვა საკითხებს აქცევენ ჩვენი სამხედრო კორესპონდენტები ყურადღებას, არა ნაკლებ საყურადღებოა რემედას-ის მნიშვნელობა. რადგან, როგორც ვიცით, რემედას-ს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საჭიროა შესაფერი ყურადღება მიაქციონ სამხკორებმა ამ მოვლენას და გააცხოველონ რემედას-ის მუშაობაზე ცნობების გზავნა.

წ. არ.

ცირკულიარი № 178
1925 წლ. 21 ნოემბერი.

რემედას-ის სამაზრო დასაოლქო კომიტეტებს

დამატებით ჩვენი ცირკულიარისა (№ 114, ნოემბრის 9-ს თარიღით) გაცნობებთ შემდეგს:

1) ადგილობრივ კონფერენციების ჩატარების უკანასკნელი ვადა თანახმად ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებისა,—არის იანვრის 15—1916 წ.

2) თქვენ მიერ დანიშნული დრო კონფერენციის მოწვევის, უნდა გვაცნობოთ წინდაწინ, არა უგვიანეს ერთი კვირისა.

3) კონფერენციას დაესწრება ც. კ. წარმომადგენელი, თუ ასეთი არ დაესწრება, გეცნობებათ.

4) კონფერენციის ხარჯები ადგილობრივად უნდა იქნეს დაფარული.

5) კონფერენციის მოწვევის დრო, მუშაობა და სხვა, წინდაწინ უნდა შეუთანხმოთ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას (სამაზრკომს ან ოლ'კომს) თუ პარტიული ორგანოები საჭიროდ არ ჩასთვლიან ამა თუ იმ დროზე კონფერენციის ჩატარებას, თქვენს მიერ დამოუკიდებლად, ე. ი. პარტიულ კომიტეტთან შეუთანხმებლად,—კონფერენცია არ უნდა იქნეს მოწვეული. ამ ნიადაგზე თუ გაუგებრობას ექნა ადგილი, გვაცნობეთ.

6) კონფერენციის დღის წესრიგი:

ა) საერთოშორისო მდგომარეობა და რემედას-ის ამ ცანები. მოხ. ც. კ. წარმომადგენელი.

ბ) სამაზრო კომიტეტის (ან ოლქკომის) მუშაობის ანგარიში.

გ) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

დ) მოხსენებანი ადგილებიდან.

ე) არჩევნები.

ვ) მიმდინარე საკითხები.

რემედას-ის საქართ. ცენტრალური კომიტეტი.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი:
რემედას-ის საქ. ცენტრალური კომიტეტი.

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.
შეკვეთის № 433. ტირაჟი 3.000 ც. მთავლიტი № 1980.

მიიღება ხელისმოწერა

რემედას-ის საქ. ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიურ ჟურნალ

რემედას-ზე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას. თეთრ ტეროორს. რემედას-ის მუშაობას, როგორც საბჭოთა კავშირში ისე უცხოეთში. ფართო ადგილი ეთმობა ტყვე-რევოლიუციონერების მდგომარეობას და ილუსტრაციებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ცხოვრებიდან.

ხელისმოწერის პირობები

1 თვით—20 კაპ., ორი თვით—35 კაპ., სამი თვით—50 კაპ., ექვსი თვით—1 მან., ერთი წლით—2 მან. ცალკე ნომერი ყოველგან 20 კაპ.

მისამართი: ტფილისი, კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქ. № 5. რემედას-ის საქ. ცენტრალური კომიტეტი. ტელეფონი—№ 4—87.

მიიღება ხელისმოწერა

ს. ქ. პ. ცენტრ. კომ. ტფ. კომ. და პოლიტ. განათლ. მთავარ მამართველ ობის

ყოველთვიურ ჟურნალ:

„კომუნისტის თანამგზავრზე“

ჟურნალი ღირს: 1 თვით—30 კაპ., 3 თვით—65 კაპ., 6 თვით—1 მან., 3 კაპ., 1 წლით—3 მ.: 40 კაპ., ცალკე ნომერი—30 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22. ს. ქ. პ. ც. კომიტეტი. ოთახი № 17.

ჟურნალ „კომუნისტის თანამგზავრი“-ს რედაქცია.

1-ლ დეკემბრიდან გაზ. სპარტაკი-ს ნაცვლად გამოდის

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრ. დატფილისის კომ. ყოველდღიური გაზეთი

„ახალგაზრდა კომუნისტი“

გაზეთი ღირს:

1 თვით—70 კაპ., 3—2 მან., 6—4 მან., 1 წლით 8—8 მან.

ხელისმოწერა მიიღება შემდეგი მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 20. ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი.

მიიღება ხელისმოწერა

ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის ყოველკვირეულ საგლეხო გაზეთზე

„ახალი სოფელი“

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით—1 მან. ნახევარი წლით—60 კაპ. 3 თვით—კაპ. ორი თვით—25 კ. ერთი თვით—15 კაპ. თითო ცალი—4 კაპ.

მისამართი: ტფილისი, ეოლოდარსკის ქ. № 11, „ახალი სოფელი“.